სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N10
კლასიფიკატორის კოდი:
CPV63510000 (ტურისტული სააგენტოები და მსგავსი მომსახურებები)
CPV 55100000 (სასტუმროს მომსახურება)

ქ. თბილისი

ერთის მხრივ **ა(ა)იპ "თბილისის - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი"** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო მაჭარშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „პანორამა ტრაველი"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსი სარქისიანის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში_„ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
„ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
„დღე", „კვირა", „თვე"_ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
„შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
„მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საგანი.
„ინსპექტირება" - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი, მოქმედების ვადა:

2.1 2022 წლის 20-25 მარტს იტალიაში იმართება ბოლონიის საბავშვო წიგნის საერთაშორისო ბაზრობა, რომელზეც ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" წარმოდგება სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ წარვადგენთ ეროვნულ სტენდს, სადაც განთავსებული იქნება ქართული საბავშვო წიგნები. გავმართავთ ქართველი ილუსტრატორების გამოფენას სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში, ასევე, დავაორგანიზებთ ილუსტრატორების მასტერკლასს. ასევე დაგეგმილია ქართველი საბავშვო ავტორების მარიამ წიკლაურისა და ვასო გულეურის წიგნების წარდგენა. აღნიშნულ ღონისძებებს

დაესწრებიან ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ სახელით სტუმრის სტატუსით მიწვეული სამი ილუსტრატორი - ანა ჯანელიძე, ვარლამ ჯმუხაძე, გიორგი ჯინჭარაძე და გამომცემელი ნინო ძანძავა. აღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელებისთვის გვესაჭიროება ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ სახელით მიწვეული სტუმრებისთვის ავიაბილეთებისა და სასტუმროს შესყიდვა.

ხელშეკრულების შესყიდვის საგანია ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ მიერ 2022 წლის ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით, ბოლონიის საბავშვო წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ სახელით სტუმრის სტატუსით მიწვეული 4 (ოთხი) ადამიანისათვის მგზავრობისთვის საჭირო ავიაბილეთების (სატრასპორტო მომსახურება და მგზავრობა)(CPV63510000 - ტურისტული სააგენტოები და მსგავსი მომსახურებები) და სასტუმროს მომსახურების (CPV55100000-სასტუმროს მომსახურება) უზრუნველყოფის სახელმწიფო შესყიდვა;

2.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მიწვეული სტუმრები ორმხრივი ავიაბილეთით;
2.4 ბილეთების გაუქმება და თანხის სრულად დაბრუნება შესაძლებელია ავიაკომპანიის მიერ რეისის გაუქმების შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფომ მოხსნა ფრენა და შეზღუდა აღნიშნულ ქვეყანასთან საჰაერო მიმოსვლა;
2.5 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სტუმრების განთავსება ბოლონიაში კომფორტულ სასტუმროში, ნომერი აღჭურვილი უნდა იყოს გათბობის სისტემით. აუცილებელია, ოთახს მუდმივად მიეწოდებოდეს ელექტოენერგია და ცხელი წყალი. ოთახს უნდა ჰქონდეს თეთრეული და პირსახოცები. ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს ჰიგიენისთვის განკუთვნილი პირველადი მოხმარების ნივთებით (საპონი, შამპუნი, ტუალეტის ქაღალდი).
2.6 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია და მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის პირველი ივნისის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **28 894.64 (ოცდარვა ათას რვაას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 64 თეთრი)** ლარს, მათ შორის CPV63510000 (ტურისტული სააგენტოები და მსგავსი მომსახურებები) - 8 000,00 (რვა ათასი) ლარი და CPV 55100000 (სასტუმროს მომსახურება) – 20 894,64 (ოცი ათას რვაას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და 64 თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით, მათ შორის:

CPV63510000 (ტურისტული სააგენტოები და მსგავსი მომსახურებები)					
N	**სახელი გავრი**	**მომსახურება**	**რეისი**	**თარიღი**	**სულ ღირებულება (ლარი)**
1	ჯანელიძე ანა	ავიაბილეთი	თბილისი - სტამბოლი - ბოლონია - სტამბოლი -თბილისი	21.03.2022 - 24.03.2022	1750,00
2	ჯინჭარაძე გიორგი	ავიაბილეთი	თბილისი - სტამბოლი - ბოლონია - სტამბოლი -თბილისი	21.03.2022 - 24.03.2022	1750,00

3	ჯმუხაძე ვარლამ	ავიაბილეთი	თბილისი - სტამბოლი - ბოლონია - სტამბოლი -თბილისი	21.03.2022 - 24.03.2022	1750,00
4	ძანძავა ნინო	ავიაბილეთი	თბილისი - ვენა - ბოლონია - სტამბოლი - თბილისი	20.03.2022 - 24.03.2022	2750,00
	სულ:				**8000,00**

CPV 55100000 (სასტუმროს მომსახურება)						
N	**სახელი გავრი**	**მომსახურება**	**განთავესბის პერიოდი**	**ღამეების რაოდენობა**	**ერთეულის ფასი (ლარი)**	**სულ ღირებულება (ლარი)**
1	ჯანელიძე ანა	სასტუმროში განთავსება	21.03.2022 - 24.03.2022	3	1607,28	4821,84
2	ჯინჭარაძე გიორგი	სასტუმროში განთავსება	21.03.2022 - 24.03.2022	3	1607,28	4821,84
3	ჯმუხაძე ვარლამ	სასტუმროში განთავსება	21.03.2022 - 24.03.2022	3	1607,28	4821,84
4	ძანძავა ნინო	სასტუმროში განთავსება	20.03.2022 - 24.03.2022	4	1607,28	6429,12
	სულ:					**20 894,64**

3.2 ავიაბილეთის ღირებულება მოიცავს ხელბარგს არაუმეტეს 5(ხუთი) კგ და რეგისტრირებულ ბარგს არაუმეტეს 20 (ოცი) კგ. გადაჯდომის ლოდინის პერიოდი არ უნდა იყოს 7 (შვიდ) საათზე მეტი;

4.მიწოდებული ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს მოწოდებული ობიექტის ხარისხის და რაოდენობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე;

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორი: ნინო მაჭარაშვილი;
5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება გაწეულ მომსახურებაში რაიმე სახის წუნი მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს წუნი;
5.4 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:
ა) ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;
ბ) ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში, დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.
5.5 ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და პირობები

6.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა: მიმწოდებელი ავიაბილეთის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
6.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ სახელით მიწვეული სტუმრების განთავსება სასტუმროში, ბოლონიაში, შემდეგ თარიღებში: ჯანელიძე ანა, ჯინჭარაძე გიორგი და ჯმუხაძე ვარლამ 21.03.2022 - 24.03.2022 წ. 3 (სამი) ღამე, ხოლო ძანძავა ნინო - 20.03.2022 - 24.03.2022 წ. 4 (ოთხი) ღამით;
6.2 მიმწოდებელი ავიაბილეთების მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@tbilisiwbc.ge ელექტრონული ბილეთების სახით.

7.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:

7.1 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
7.2 მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება ორ ეტაპად (ბილეთების მიწოდების შემდეგ და სასტუმროთი მომსახურების შემდეგ) ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფძველზე;
7.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორი: ნინო მაჭარაშვილი.

8. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება (ბილეთის მიწოდების შემდეგ და სასტუმროთი მომსახურების შემდეგ) უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში.
8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება (ბილეთის მიწოდების შემდეგ და სასტუმროთი მომსახურების შემდეგ) ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით;
8.4 წინასწარი ანგარიშსწორება ავანსი არ დაიშვება.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
9.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;
9.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. მხარეთა ვალდებულებანი

10.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულების საგანში გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების შესაბამისად;
10.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილიწესით;
11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში,ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;
11.4 თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;
11.5 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარისპასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი);
12.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით;
12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
13.2. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით;
13.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან.

15. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“	**შპს "პანორამა ტრაველი"**
ს/კ 402176943	ს/კ 205136280
მის.: ქ. თბილისი, ტოვსტონოგოვის ქ.N2	იურიდ. მის.: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აწყურის ქ., N 3, ბ. № 3; ფაქტ. მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N174
ელ. ფოსტა: info@tbilisiwbc.ge	ელ. ფოსტა: info@panoramatravel.ge
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22	ს/ს " თიბისი ბანკი" TBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE25TB1100000360200419
დირექტორი: ნინო მაჭარაშვილი	დირექტორი: ალექსი სარქისიან